



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-19/ნ

26 თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი

მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 27/07/2016, სარეგისტრაციო კოდი: 470230000.22.035.016395) განხორციელდეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. პირველი მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 რეცეპტი (შემდგომში – ფორმა №3) გამოიწერება ელექტრონულად (ელექტრონული რეცეპტი).
2. ფორმა №3 ელექტრონულად (ელექტრონული რეცეპტი) იწარმოება ელექტრონული რეცეპტების ერთიანი სახელმწიფო სისტემის (შემდგომში – ელექტრონული სისტემა) საშუალებით, რომელიც მოიცავს ამ ბრძანების მიზნებისთვის დამუშავებული ინფორმაციისა და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობას.
3. 2022 წლის 1 მარტიდან, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი/დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირი (გარდა სოფლის ექიმისა), ვალდებულია, პაციენტისათვის

დანიშნული სამკურნალო საშუალება გამოწეროს ელექტრონული ფორმით.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-14 და მე-15 პუნქტები, მე-18 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 23-ე პუნქტი ამოღებული იქნეს;

ბ) 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. ფორსმაჟორულ სიტუაციაში, როდესაც ელექტრონულ სისტემასთან წვდომა/კავშირი შეზღუდულია 10 წუთზე მეტი დროით, პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ექიმი უფლებამოსილია, გამოწეროს ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 – რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით. ექიმი ვალდებულია, ქალაქის მატარებელზე გამოწერილი ფორმა №3 რეცეპტები, გაცემის დღის მომდევნო 2 სამუშაო დღის დასრულებამდე (24:00 საათამდე), სათანადო წესით ასახოს ელექტრონულ სისტემაში. ამ შემთხვევაში, რეცეპტი მოინიშნება სპეციალური წარწერით – „ასლი“. ამასთან, ექიმი ვალდებულია, გამოწერილი რეცეპტის ბლანკის ასლი დაურთოს პაციენტის სამედიცინო ბარათს.“.

3. მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ფარმაცევტულ დაწესებულებაში რეცეპტის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) გაიცემა „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 – რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით.“.

4. მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების (ინფორმაციის) მფლობელია სააგენტო, ასევე სამინისტრო ამ ბრძანებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ელექტრონული სისტემის ტექნოლოგიურ ნაწილს (პროგრამულ უზრუნველყოფას და საჭირო ინფრასტრუქტურას) ფლობს და მართავს სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო. ელექტრონული სისტემა ხდება ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რაც გულისხმობს ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვას (ლოგირებას), მომხმარებელთა წვდომის მართვის ტექნოლოგიური საშუალებებისა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვას, რასაც უზრუნველყოფს სსიპ -ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო.

2. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ფუნქციის განხორციელების მიზნით, დანიშნულებისა და ელექტრონული რეცეპტის შემდგომ პირს (ექიმს), სსიპ -ინფორმაციული ტექნოლოგიების

სააგენტოს, სააგენტოს, სამედიცინო დაწესებულებას და ფარმაცევტულ დაწესებულებას, საკუთარი კომპეტენციისა და საქმიანობის ფარგლებში, აქვთ ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის დამუშავების უფლება, რა დროსაც, მათ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრებათ პასუხისმგებლობა დამუშავებული მონაცემების კონფიდენციალობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.“.

5. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოსა და სააგენტოს შესაბამის უფლებამოსილ პირს, ფარმაცევტული და სამედიცინო საქმიანობის კონტროლის (მ.შ. სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი, ფარმაცევტული ბაზრის კონტროლი, სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი და სხვ.) კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების, ასევე, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით გატარებული საქმიანობების, მონაცემთა ანალიზის განხორციელების პროცესში უფლება აქვს მოიპოვოს და დაამუშაოს ელექტრონულ სისტემაში არსებული სათანადო ინფორმაცია.“.

6. მე-7 მუხლს დაემატოს მე-3 და მე-4 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„3. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელსა და ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორზე საპილოტე რეჟიმის განმავლობაში, 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 აპრილამდე, არ გავრცელდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის ხარისხისა და ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლის, ასევე, სხვა ზედამხედველობითი ღონისძიებები და საჯარიმო სანქციები, რაც დაკავშირებულია მე-2 ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა №3 რეცეპტის სავალდებულოდ ელექტრონულად გამოწერისა და გაცემის წესებთან.“.

4. ამ ბრძანების ამოქმედებამდე მატერიალური ფორმით (ქაღალდის მატარებლებზე) გამოწერილი რეცეპტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას რეცეპტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი